

2011 წლის 29 აგვისტო
ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”
აღმასრულებელი საბჭოს სხდომის
ოქმი

29 აგვისტო, 2011

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ №75

სხდომის დაწყების დრო 20:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), იმედა დვალიძე, ზვიად კორძაძე, ქეთევან ბექაური, იოსებ ბარათაშვილი, ნოდარ ფეიქრიშვილი, ზაზა ბიბილაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება;
2. ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო ტესტირების თარიღების დამტკიცების შესახებ;
3. ადვოკატთა ასოციაციისთვის შექმნილი ახალი ოფისის აუცილებელი, გადაუდებელი ხარჯებისთვის 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარის გამოყოფის შესახებ;
4. 7000 (შვიდი ათასი) ლარის გამოყოფა სერვერის შესაძენად (One IT-ის პროგრამის გამოსაყენებლად).
5. სხვადასხვა

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწვევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით; ასევე დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაშეწვევტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწვევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწვევრიანებაზე;

ა). საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას **ხათუნა გედევანიშვილის** განცხადება ასოციაციაში გაწვევრიანების თაობაზე და ამავე კანონის 21² მუხლის, გ პუნქტის (მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი: ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება) საფუძველზე და წვევრიობის შეჩერების შესახებ მისი განცხადების თანახმად, **ხათუნა გედევანიშვილს** გაწვევრიანებისთანავე შეუჩერდეს ასოციაციის წვევრიობა.

ბ). საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას **არჩილ კუკულავას** განცხადება ასოციაციაში გაწვევრიანების თაობაზე და ამავე კანონის 21² მუხლის, 1 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, პირადი განცხადების საფუძველზე **არჩილ კუკულავას** შეუჩერდეს ასოციაციის წვევრიობა.

2. ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო ტესტირებისთვის რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 12-23 სექტემბერი. ტესტირების თარიღებად დამტკიცდეს 2011 წლის 30 ნოემბერი და 1 -2 დეკემბერი.

3. ადვოკატთა ასოციაციისთვის შეძენილი ახალი ოფისის აუცილებელი, გადაუდებელი ხარჯებისთვის, ასოციაციის ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნას 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი. შესაბამისი ცვლილება შევიდეს ასოციაციის ბიუჯეტში.

4. ასოციაციის ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნას 7000 (შვიდი ათასი) ლარი კომპანია “One IT” –ის მიერ შემუშავებული ადვოკატთა რეესტრის და კეის-მენეჯმენტის პროგრამის დაყენების მიზნით სერვერის შესაძენად. შესაბამისი ცვლილება შევიდეს ასოციაციის ბიუჯეტში.

ზაზა ხატიაშვილი

ასოციაციის თავმჯდომარე